სპორტული ჟურნალი

№4 ივნისი, 2000 ფასი 2 ლარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკუთარი

3 ირაკლი გამყრელიძე
ფრთაგაშლილი ისტორია
მადრიდის „რეალის“ შავ-თეთრი და ფერადი პორტრეტი

5 **ოთხჯერ ოთხი – 2000**
10 ივნისს ევრო 2000-ის ფინალური ეტაპი იწყება, რომლის მონაწილენიც არიან:

6 გერმანია
7 რუმინეთი
8 პორტუგალია
9 ინგლისი
10 ბელგია
11 შვედეთი
12 თურქეთი
13 იტალია
16 ესპანეთი
17 ნორვეგია
18 იუგოსლავია
19 სლოვენია
20 ჰოლანდია
21 ჩეხეთი
22 საფრანგეთი
23 დანია

24 **ევრო 2000**
ბადე და კალენდარი

25 პაპუნა კედია
კლასიკოსთა ჯალათასარაი
უეფას თასის ახალი მფლობელი

26 **სხვადასხვა**

14-15 გვერდი
ფილიპო ინძაგი. იტალია. „იუვენტუსი“.

გარეკანზე
I რაული. 2000 წლის 24 მაისი. პარიზის „სტად დე ფრანსი“
II საქართველოს 2000 წლის თასის მფლობელი თბილისის „ლოკომოტივი“
III NBA-ს სეზონის უძვირფასესი მოთამაშე შაკილ ონილი
IV საფრანგეთის ნაკრები. 2000 წლის 25 მაისი

რევაზ ძოძუაშვილის გაწვრთნილმა თბილისის „ლოკომოტივმა“ ახალგაჩემპიონებულ ქუთაისის „ტორპედოს“ ოთხ დღეში გაუნახევრა სიხარული. დავით ყიფიანის „ტორპედომ“ 22 მაისს დაასრულა „დინამოს“ პირველობის ათწლიანი ხანა, საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს კი ამაოდ შეეცადა თასის დაცვას და დუბლის შესრულებას. ფინალის ძირითადი და დამატებითი დრო უგოლოდ მორჩა. პენალტების სერიისას კი თბილისელთა 20 წლის მეკარე, გიორგი ლომაიამ იყოჩაღა. ისევე როგორც მეოთხედფინალში, ორი თერთმეტმეტრიანი მოიგერია და „ლოკომოტივს“ პირველად მოაპოვებინა საქართველოს თასი, რომელსაც გახარებული ფეხბურთელები ჩასჭიდებიან.

რედაქტორი ილია გაგუნაშვილი
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
ოპერატორი ელენე გელუტაშვილი

მრჩეველთა საბჭო: ვახტანგ ბზიკაძე, სოლომონ გულისაშვილი, ავთანდილ გურასაშვილი, ემზარ ზენაიშვილი, ზურაბ მეძველია, ზურაბ ფოცხვერია

რეკლამა ჟურნალ «სარბიელში» — 93 16 08

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფრთაგაშლილი ისტორია

UEFA CHAMPIONS LEAGUE

ირაკლი გამყრელიძე

ის, რომ მადრიდის „რეალმა“ კარგახანია შეაბიჯა ისტორიაში, ისტორიულად დადასტურებული ფაქტია. ახლა დასტურდება ისიც, რომ ისტორია გვარიანი საყრდენია დიადი კლუბებისთვის.

24 მაისს „რეალმა“ მერვედ მოიგო ჩემპიონთა თასი და ძნელია იმაზე ფიქრი, ახალი საუკუნის პირველ ათწლეულებში გამოჩნდეს ვინმე ისეთი, ვინც მის ისტორიულ ევროპულ მიღწევებს გაიმეორებს.

მას შემდეგ, რაც ჩემპიონთა თასის გათამაშებას ჩემპიონთა ლიგა ეწოდა, „რეალი“ ორჯერ გავიდა ფინალში და ორჯერვე იმარჯვა. ამ ორივე გამარჯვებას აერთიანებს რაღაც. ალბათ — უიღბლო და უსახური თამაშებისა და მობილიზების უცნაური ნაზავი, რაც ძნელი საძებარია დიდ ევროპულ ფეხბურთში.

80-იანი წლების საუცხოო „რეალი“, რომელმაც ორჯერ ზედიზედ მოიგო უეფას თასი, თითქოს ორსახოვანი ვინმე იყო. საშინელ ჩავარდნებს გასვლით შეხვედრებში შინ ბრწყინვალე, უხვგოლიან გამარჯვებებს უხვედრებდა.

მაგრამ გუნდებს დიდი გამარჯვებებით და საბოლოო შედეგებით განსჯიან ხოლმე.

გაზაფხულამდე კრიზისული ცახცახით მოსულმა „რეალმა“ მთელს ესპანეთის ჩემპიონატში ორი საუცხოო მატჩით დაგვამახსოვრა თავი (ფრე და მოგება „ბარსელონასთან“) და საბოლოოდ მეხუთე ადგილზე გავიდა. ჩემპიონთა ლიგის მეორე ეტაპის ჯგუფში „რეალმა“ ორ მატჩში 3:8 წააგო მიუნხენის „ბაიერნთან“ და კიევში ნაშოვნი ქულითა და ტრონჰეიმში მოგებული გადამწყვეტი თამაშით გააღწია მეოთხედფინალში.

ამის შემდეგ „რეალმა“ ოთხი საუცხოო მატჩი ჩაატარა და ფინალში გავიდა. მთავარი ამ შეხვედრებში ის იყო, რომ „რეალმა“ თითქოს სადღაც დაფლულ განძს მიაგნო. ვისენტე დელ ბოსკეს მოქნილ ტაქტიკას ისიც დაერთო, რომ გაირკვა — ფერნანდო რედონდოს ბევრად მეტის აღება შეუძლია თავის თავზე, ვიდრე მიჩნეულია; რომ რობერტო კარლოსი და სტივ მაკმანამანი წარმოუდგენელ ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ მზადყოფნაში არიან; რომ ივან კამპო არასოდეს ყოფილა ცუდი ფეხბურთელი; რომ ცხრამეტი წლის იკერ კასილიასი არ ფიქრობს ორ ვაგონ გაშვებულ გოლზე და სიმშვიდეს აფრქვევს; რომ ნიკოლა ანელკა ვარსკვლავია და არა ჭირვეული საპატარძლო... რაული კი, როგორც ყოველთვის ბრწყინვალე იყო.

ამან კი დაგვანახა, რომ „რეალს“ ხე-

მადრიდელებმა ფერნანდო მორიენტესმა, ივან ელგერამ და რაულმა გამარჯვება სრულიად ესპანეთს მიუძღვნეს

REUTERS

REUTERS

მადრიდელი ნიკოლა ანელკა (№19) და ფრანსისკო ფარინოსი

ლეწიფება თავისი შესაძლებლობების სრული რეალიზაცია. ოღონდ, ჩემპიონთა ლიგაში, იქ სადაც მსაჯის სასტვენთან ერთად მთავრდება სიცოცხლე. „რეალი“ უკვდავია და აპრილის სალიგო თამაშებში თითქოს ამის დამტკიცებას ცდილობდა. ცდილობდა და დაამტკიცა კიდეც. სწორედ სწორ დროს — ასეთ თანხვედრას „რეალი“ წარმატებისკენ მიჰყავდა.

და „რეალმა“ გაიმარჯვა — „ვალენსიას“ წინააღმდეგ ნათამაშევი ფინალი თავისი არსით და ლოგიკით სწორედ აპრილის სალიგო თამაშების გაგრძელება იყო. ყოველ საპლეიოფო შეხვედრაში „რეალი“ ასრულებდა სამწვრთნელო ნახაზებს, ეს უკანასკნელი კი ყოველთვის სწორი და ზუსტად მიგნებული იყო.

და როცა მანუელ სანჩისმა ჩემპიონთა თასი ასწია, აღარავის ახსოვდა ის, რომ „რეალმა“ წლევანდელი სეზონიც ორ კალაპოტში გალია — ერთგან მღვრიედ მიედინებოდა, მეორეგან კი დაწმენდილად.

ასეა, დიდი გამარჯვება თავის ლამაზ მოსასხამს წააფარებს ხოლმე უფერულ ნივთებს.

ამ დროს, ისტორია განსაკუთრებული ძალით გაშლის ხოლმე ფრთებს.

ჩემპიონთა ლიგა
ნახევარფინალი

პირველი წრე

2 მაისი	ვალენსია (ესპანეთი) 4:1 ბარსელონა (ესპანეთი) 1:0 ანგულო (10), 1:1 ბელუგრინი (27ს.კ.), 2:1 ანგულო (43), 3:1 შენდიეტა (45ა), 4:1 ლოპესი (90)
3 მაისი	რეალი (მადრიდი, ესპანეთი) 2:0 ბაიერნი (მიუნხენი, გერმანია) 1:0 ანელკა (4), 2:0 იერემისი (33ს.კ.)

მეორე წრე

9 მაისი	ბაიერნი (მიუნხენი, გერმანია) 2:1 რეალი (მადრიდი, ესპანეთი) 1:0 იანკერი (12), 1:1 ანელკა (32), 2:1 ელბერი (54)
10 მაისი	ბარსელონა (ესპანეთი) 2:1 ვალენსია (ესპანეთი) 0:1 შენდიეტა (69), 1:1 ფ. დე ბური (78), 2:1 კოკუ (90)

ფინალი

24 მაისი	რეალი (მადრიდი, ესპანეთი) 3:0 ვალენსია (ესპანეთი) 1:0 მორიენტესი (39), 2:0 მაკმანამანი (67), 3:0 რაული (75)

ოთხჯერ ოთხი — 2000

10 ივნისს ბრიუსელის „მეფე ბოდუენის“ სტადიონზე, ბელგია-შვედეთის მატჩით ევრო 2000-ის ფინალური ტურნირი გაიხსნება. შეჯიბრებას, რომელიც მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ ყველაზე პრესტიჟულია, ბელგიისა და ჰოლანდიის ოთხ-ოთხი ქალაქი უმასპინძლებს: ამსტერდამი (სტადიონი „ამსტერდამ არენა“, იტევს 50 ათას მაყურებელს), არნემი („ჟელრედომი“, 30 ათასი), როტერდამი („ფეიენოორდი“, 50 ათასი), ეინდჰოვენი („ფილიპსი“ 33 ათასი), ბრიუგე („იან ბრეიდელი“, 30 ათასი), ბრიუსელი („მეფე ბოდუენი“, 50 ათასი), ლიეჟი („შლესონი“, 30 ათასი), შარლერუა („კომუნალი“, 30 ათასი). ტურნირი 22 დღეს გასტანს და 2 ივლისამდე 31 მატჩი გაიმართება.

ჰოლანდია ასეთი დონის შეჯიბრებას პირველად მასპინძლობს, ბელგია კი 1972 წელს უკვე იყო ევროპის ჩემპიონატის მასპინძელი, თუმცა, მაშინ ფინალურ ეტაპზე სულ ოთხი ნაკრები მონაწილეობდა.

წლევანდელი თექვსმეტეული ოთხ ოთხგუნდა ჯგუფად დაყვეს. სპეციალისტებმა და ჟურნალისტებმა ყველაზე ძლიერად **D** ჯგუფი აღიარეს, სადაც მასპინძელი ჰოლანდია, მსოფლიოს ჩემპიონი საფრანგეთი, საკვალიფიკაციო ეტაპზე ყველა მატჩის მომგები ჩეხეთი და ევროპის 1992 წლის ჩემპიონი დანია მოხვდნენ. მართლაც „სიკვდილის ჯგუფია“. თუმცა, არის კიდევ ერთი წყვილი, გუნდები რომელთა შეხვედრა 17 ივნისს შარლერუაში ჩემპიონატის ერთ-ერთ მთავარ მოვლენად ითვლება: *A* ჯგუფში ინგლისი და გერმანია ერთად მოხვდნენ, ძველი მოწინააღმდეგეების დაპირისპირებას ახლავე ნათლავენ „კლასიკად“.

ბუქმეიკერები კი ფავორიტთა შანსებს ასე აფასებენ: ჰოლანდია 7-2, იტალია 5-1, ესპანეთი 11-2, გერმანია 7-1, საფრანგეთი 15-2, ინგლისი 10-1...



ევრო 2000-ის საორგანიზაციო კომიტეტის დირექტორი ალან ჯურტუა და ბელგიის ნაკრების მწვრთნელი რობერ ვასეჟი პირველი მატჩის ბილეთის ასლით

REUTERS



გერმანია

ევროპის სამგზის ჩემპიონი გერმანია, რომელიც ბენილუქსში მოქმედი ჩემპიონის რანგში ჩადის, სულაც არ არის საჩემპიონო გუნდი. ის, რომ გერმანია კრიზისშია, ნებისმიერ ტელეეკრანზე ჩანს. ნაკრების ამჟამინდელი მწვრთნელი ერიხ რიბეკი ავტოკრიტიკაზე მეტად საქმითაა დაკავებული და ნაკრების იმგვარად მომზადებას ცდილობს, რომ ევროპის ჩემპიონატზე ტიტულის შესანარჩუნებლად იბრძოლოს.

გერმანელთა მთავარი პრობლემა ეროვნულ ნაკრებში უმაღლესი კვალიფიკაციის ფეხბურთელთა ნაკლებობაა. უფრო სწორად, გერმანელთა ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელი ყოველთვის მათ მთავარ გუნდში ვარსკვლავთა სიჭარბე იყო. დღეს კი, იურგენ კლინსმანის თაობის წასვლის შემდეგ, ნაკრებმა თითქოს ფერი დაკარგა. ექვსი წლის წინათ ნაკრებიდან მოკვეთილ შტეფან ეფენბერგს დაბრუნებას სთხოვდნენ, მაგრამ უარზე იდგა. სწორედ ეფენბერგის კლასის ფეხბურთელები სჭირდება გერმანიის ნაკრებს.

ადრე ასეთები გუნდს ყოველ რგოლში ჰყავდა.

გერმანიის ნაკრები წინა ევროპის ჩემპიონატზე წარმოდგა, როგორც ტრავმებით ტანჯული, პრობლემებით შეჭირვებული გუნდი, რომელმაც ყველაფრის მიუხედავად კონტინენტის ჩემპიონობა მოიპოვა.

ამჯერად, გერმანელთა გაჩემპიონება უფრო სასწაულს ჰგავს, ვიდრე სინამდვილეს, მაგრამ ფეხბურთი ხომ სასწაულთა სპორტია. დინჯი და მშვიდი ერიხ რიბეკი ბევრი სხვა მწვრთნელისგან განსხვავებით არ აცხადებს, რომ ჩემპიონობას გეგმავს, მაგრამ იმას კი ამბობს, რომ მისი გუნდი არაფერს დათმობს. ეს ძნელი წარმოსადგენიც იქნებოდა. შარშანდელი სკანდალური მარცხები მეორეხარისხოვან გუნდებთან და გაუთავებელი ფრეები ევროპის ჩემპიონებს დიდ არაფერ ტვირთად უჩანთ, რადგან დიდ შეჯიბრებებში გერმანია ყოველთვის გერმანიაა და ამით ბევრ კითხვას გაეცემა პასუხი. გუნდის განწყობა საბრძოლოა, ხოლო ის, ვინც ნაკრებში ვერაფერს ხედავს იმედიანს, დათხოვილია. იენს იერემისს ერთი წამოცდა, გუნდი კი არა, საცოდაობა ვართო და რიბეკმა კინაღამ ცხვირწინ მიუხურა კარი.

ვისი იმედი აქვს გერმანიას? გერმანიის.

ოლივერ ბირჰოფი — ევრო 96-ის გმირი, გერმანიის ნაკრების კაპიტანი

REUTERS

რუმინეთი

REUTERS

რუმინეთის ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელი გეორგე ჰაჯი (№10)

ქართველთა დარად, რუმინელებმაც 80-იანი წლების ბოლოს აღგავეს კომუნისტური წყობა, ოღონდ, ჩვენი არ იყოს, მხოლოდ თეორიულად. ისინიც ჩვენებურებივით გარბიან დასავლეთში. ჩვენ 13 მაისით ვამაყობთ, იმათ 7 მაისი აქვთ დღესასწაული — „სტიაუას“ მიერ 1986 წელს ჩემპიონთა თასის მოპოვების დღე. რუმინეთმა ევროპიდან პირველმა აღიარა საქართველოს დამოუკიდებლობა, იმ დროს კი რუსთაველზე „ჩაუშესკუ, ჩაუშესკუს!“ გაჰყვიროდნენ. ხედავთ, რამდენი საერთო გვქონია რუმინეთთან?

ახლა განსხვავებაზეც ვთქვათ. მხოლოდ ერთზე, საფეხბურთოზე: ვისთვის გასული და ვისთვის გაუსვლელი XX საუკუნის 90-იანი წლები, ქართული ფეხბურთისთვის ლამის დასამარების ათწლეულად რომ ქცეულა, რუმინული ფეხბურთის ოქროს ხანად მიიჩნევა.

თავად განსაჯეთ — ამ ათწლეულში ჩატარებულ ხუთ უდიდეს შეჯიბრებათაგან (მსოფლიოს სამი და ევროპის ორი ჩემპიონატი) ჰაჯიმ და მისმა მეგობრებმა ოთხის ფინალურ ეტაპზე გასვლა შეძლეს. არც იქ ყოფილან უბრალო მონაწილენი: იტალიაში რუსები გააამწარეს, საფრანგეთში — ინგლისელები და ა.შ.

და აი, საუკუნე თუ არა, ათწლეული ნაღდად გავიდა. ბევრმა წყალმა ჩაიარა, ჰაჯი კი დარჩა. გეორგე ჰაჯი ანუ „კარპატელი მარადონა“. იგივე რუმინეთის საუკუნის ფეხბურთელი. მეტოქეთა კარიდან სულ მცირე 40 მეტრი რომ გადავზომოთ ამ ფართობზე, ადგილს ვერ ნახავთ, იქიდან ჰაჯის გოლი არ ჰქონდეს გატანილი. პასზე თუ ვიტყვით, ეს დისტანცია ერთიორადაც გაიზრდება. მეტი რაღა უნდოდათ რუმინელ თავდამსხმელებს — ჯერ მარიუს ლეკეტუში აგვირგვინებდა ჰაჯურ შეტევებს, მერე ფლორინ რადუჩოუ. ახლა კი ადრიან ილიე და ვიორელ მოლდოვანი.

თუმცა, ეპოქა თავდება, ჰაჯი მიდის. ითამაშებს ამ ევროპის ჩემპიონატსაც და წავა, მაგრამ წასვლის წინ კარპატელს კარის გაჯახუნება უყვარს — ახლახანს, „გალათასარაისთან“ ერთად უეფას თასი მოიპოვა.

პორტუგალია

REUTERS

ლუიშ ფიგუ (№7) და რუი პოშტა — ოქროს თაობის ვარსკვლავები

პორტუგალიის ნაკრები იმედითა და სრული მზადყოფნით ხვდება ევროპის ჩემპიონატს. არავისთვის საიდუმლო არ არის, რომ პორტუგალიური ფეხბურთის უბრწყინვალეს თაობას, რომლის მედროშეებადაც ლუიშ ფიგუ, ჟოაო პინტუ, რუი კოშტა, ვიტორ ბაია და ფერნანდო კოუტუ გვესახებიან, ბოლო დიდი სანაკრებო განავარდება ელით.

პორტუგალიელებმა საუცხოოდ განვლეს შესარჩევი ტურნირი და ამხანაგურ თამაშებშიაც კარგად ირჯებოდნენ. 60-იანი წლების შემდეგ, როცა ეუსებიოს, სიმოესისა და ტორესის ვარსკვლავურმა ხიბლმა მსოფლიოს პორტუგალიური ფეხბურთი გააცნო, ამ პატარა ქვეყანას არასოდეს ჰყოლია იმდენი ვარსკვლავი, რამდენიც 90-იან წლებში.

პორტუგალიელთათვის ყველაზე დიდ მიღწევად ევროპის ჩემპიონატებზე, 1984 წლის შეჯიბრების ნახევარფინალში გასვლა და იქ დრამატულ შეხვედრაში, მასპინძელ ფრანგებთან მარცხი რჩება.

წინა ევროპის ჩემპიონატზე, მეტად მოხდენილად მოთამაშე პორტუგალიელებმა მეოთხედფინალში წააგეს მომავალ ფინალისტებთან, ჩეხებთან. შეხვედრის ერთადერთი, ულამაზესი გოლი კარელ პობორსკიმ გაიტანა. პორტუგალიელებმა ჩემპიონატი დატოვეს, თუმცაღა კვალი კი დაამჩნიეს გათამაშებას უაღრესად ტექნიკური და ლამაზი სტილით.

ახლანდელ პორტუგალიის ნაკრებს უმბერტო კოელიო თავკაცობს. შესარჩევი ტურნირი და ერთი ამხანაგური თამაში, სულ თოთხმეტი შეხვედრა, კოელიომ დაუმარცხებლად ატარა ნაკრები და ფეხი მხოლოდ იტალიასთან წაუცდა. კოელიო ტრადიციულ, პორტუგალიურ სტილს არ ღალატობს: „ჩვენ გვიყვარს ღია, შემტევი თამაში. ეს ბურთაობის ის ხერხია, რომელიც ყველაზე კარგად გამოგვდის და ძვალსა და რბილში გვაქვს გამჯდარი. ინდივიდუალიზმი და იმპროვიზაცია ჩვენი ფეხბურთის საუკეთესო თვისებებია, მაგრამ გადამლაშება ხიბლს უკარგავს ამ სტილს. თამაშში აუცილებლად უნდა შეიგრძნობოდეს სოლიდურობა“.

როდესაც პორტუგალიის ნაკრები აგებს, იქაური გაზეთები აუცილებლად შეახსენებენ ხოლმე ფეხბურთელებს: „ხელოვნებას გოლის გარეშე სახელი და დიდება არ მოაქვს“. გოლის პრობლემა პორტუგალიის ნაკრებს არა აქვს, ვინაიდან, ტექნიკისა და სისწრაფის წყალობით, ლამის ყველა მოთამაშეს შეუძლია მოწინააღმდეგის დაცვის გარღვევა. მაგრამ საქმე აქ სხვაა. უამრავი ტალანტის პატრონ პორტუგალიას გამოკვეთილი მეგოლე არ ჰყავს. ანუ დღეს არ ჰყავს ისეთი თავდამსხმელები, როგორებიც იყვნენ ნენე, ჟორდაო და ფერნანდო გომეში.

ეს პრობლემაა და ამიტომაც ამბობს რუი კოშტა: „ჩვენ ხმლის წვერი გვჭირდება. აი, ისეთი როგორიც ბატისტუტაა“. დღეს ბატისტუტას ძებნა ცოტა არ იყოს საძნელო საქმეა, მაგრამ ხმალი მაინც ხმალია და თუ წვერი არა აქვს ბასრი, პირით ჰკვეთს. პორტუგალიაც ამ განწყობით მიემგზავრება ევროპის ჩემპიონატზე.

ინგლისი

თუმცა ვინმეა ინგლისურ ფეხბურთში სახალხო ფიგურა, პირველ რიგში ნაკრების მწვრთნელი კევინ კიგანი. ეგებ ის პირველი მწვრთნელიც იყოს ამ პოსტზე, გულშემატკივართა სრული კეთილგანწყობა და ნდობა რომ უმაგრებს ზურგს. კიგანი ყველას უყვარს, ფეხბურთელებს, ასოციაციის უფროსობას, ჟურნალისტებსაც კი. ეს არის ალალი, თამამი, ენთუზიაზმით აღსავსე კაცი, რომელსაც სწამს, რომ ინგლისში ძალიან ბევრი კარგი ფეხბურთელია და მთავარ პრობლემას იმ თერთმეტი კაცის შერჩევა წარმოადგენს, რომელთაც ევროპის ჩემპიონატზე უნდა ითამაშონ.

ამ კეთილ განცხადებათა მიუხედავად, ინგლისის ნაკრები უკეთესი არ გამხდარა.

ევრო-2000-ის შესარჩევი ციკლი ახალი დაწყებული იყო, როცა არასაფეხბურთო მიზეზით გადააყენეს მაშინდელი მწვრთნელი გლენ ჰოდლი, რომლის მუშაობაც ნაკრებში ყოველთვის ქებას იმსახურებდა. კიგანის ხელში ინგლისელებმა გაჭირვებით დაძლიეს შესარჩევი ციკლი, ჯგუფში მეორე ადგილზე გავიდნენ და საპლეიოფო წყვილში მოგება და წაგება გაინაწილეს შოტლანდიელებთან ორ შეხვედრაში. ერთი ბურთით მეტი გაიტანეს და ასე გააღწიეს ფინალურ ტურნირში.

კიგანი მართალია, როდესაც აცხადებს, რომ ინგლისში ძალიან ბევრი კარგი ფეხბურთელია. გუნდი, რომელსაც მაიკლ ოუენი, დევიდ ბექემი და სოლ კემბელი ჰყავს, შემადგენლობის სიძლიერით მსოფლიოს ნებისმიერ გუნდს გაუტოლდება. თუმცა, აქ ისიც უნდა ითქვას, რომ კიგანის ხელში ამ ფეხბურთელებს ჯერ არ უჩვენებიათ იმგვარი ძალმოსილება, ჰოდლის ხელში რომ უჩვენებდნენ. კიგანმა ლამის შეურაცხყოფად მიიღო, როდესაც ჟურნალისტებმა შეახსენეს, ჰოდლის დროს ნაკრები სულ სხვა უნარისა იყო და სიხისტე და სისწრაფე მეტი მოსდგამდაო. ამაზე კიგანმა მიუგო, ასლების გადაღებას არ ვაპირებ, ჩემი ღირსება და ჩემი საფეხბურთო ხედვა მაქვსო.

რით სჯობს კიგანი ჰოდლს და ზემოთჩამოთვლილთან ერთად იმით, რომ გამუდმებით ეძებს ახალ მოთამაშეებს. ის პირველდივიზიონელებსაც კი სთავაზობს ნაკრების მაისურას. ჯერჯერობით, ამ მხრივ კიგანს ერთმა გაუმართლა — ფენომენალური ნიჭის ნიუკასლელმა მცველმა კირონ დაიერმა აუცილებლად უნდა ითამაშოს ევროპის ჩემპიონატზე. თუ ისა და მაიკლ ოუენი სრულ მზადყოფნაში იქნებიან, მაშინ კიგანის გუნდი უმაღლესი მიზნებისთვისაც შეძლებს ბრძოლას.

ახლა კიგანისა და ჰოდლის შედარებას აზრი აღარა აქვს, ხოლო ტაქტიკაზე დავა სხვა საუბრის თემაა. ტონი ადამსმა კი თქვა: „კიგანმა ერთმანეთის ნდობა დაგვიბრუნა“. ეგებ მინდორზე გარჯასთან ამას ერთი შეხედვით ნაკლები კავშირი ჰქონდეს, მაგრამ დადგება წუთი, როცა ეს საჭირო გახდება. კიგანი თავისი გზით მიდის, მწვერვალისკენ თუ უფსკრულისკენ — ძალიან მალე გამოჩნდება.

ალან შირერისგან (მარჯვნივ) ინგლისელი ფანები გოლებს ელიან

REUTERS

ᲑᲔᲚᲒᲘᲐ

ᲒᲐᲜᲐ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲖᲚᲐᲞᲐᲠᲘ ᲡᲘᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲚᲔᲓ ᲘᲥᲪᲔᲡ? ᲑᲔᲚᲒᲘᲔᲚᲗᲐ ᲛᲬᲕᲠᲗᲜᲔᲚᲡ ᲠᲝᲑᲔᲠ ᲕᲐᲡᲔᲯᲡ ᲠᲝᲛ ᲰᲙᲘᲗᲮᲝᲗ, ᲓᲐᲓᲔᲑᲘᲗ ᲞᲐᲡᲣᲮᲡ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲗ. ᲔᲡ 60 ᲬᲚᲘᲡ ᲙᲐᲪᲘ ᲨᲐᲠᲨᲐᲜ ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲨᲘ ᲛᲘᲕᲘᲓᲐ „ᲬᲘᲗᲔᲚ ᲔᲨᲛᲐᲙᲣᲜᲔᲑᲗᲐᲜ“ ᲓᲐ ᲣᲪᲔᲑ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲨᲔᲐᲢᲠᲘᲐᲚᲐ. ᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲓᲐᲛᲠᲘᲒᲔᲑᲚᲘᲡ ᲟᲝᲠᲯ ᲚᲘᲙᲔᲜᲡᲘᲡ „ᲛᲝᲡᲐᲬᲧᲔᲜᲘ ᲜᲐᲡᲣᲤᲠᲐᲚᲘ“ ᲒᲐᲛᲝᲤᲮᲘᲖᲚᲓᲐ ᲓᲐ ᲗᲐᲛᲐᲨᲘᲡ ᲗᲐᲛᲐᲨᲖᲔ ᲛᲝᲒᲔᲑᲐ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ: „ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘᲐ ᲡᲬᲝᲠᲘ ᲛᲔᲜᲢᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘ ᲒᲐᲛᲝᲕᲘᲛᲣᲨᲐᲕᲝᲗ, ᲔᲒᲝᲪᲔᲜᲢᲠᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲤᲮᲝᲠᲘᲚᲘ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲔᲚᲔᲑᲘ ᲐᲠ ᲛᲭᲘᲠᲓᲔᲑᲐ. ᲕᲘᲜᲪ ᲨᲠᲝᲛᲘᲡᲛᲝᲧᲕᲐᲠᲔ ᲓᲐ ᲗᲐᲕᲓᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘᲐ, ᲔᲕᲠᲝ�პᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲖᲔᲪ ᲘᲡ ᲘᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲡ“. ᲔᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲘ ᲑᲝᲡᲙᲐᲛᲞᲘᲡᲒᲐᲜ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲜᲐᲗᲥᲕᲐᲛᲘ ᲐᲠ ᲒᲔᲒᲝᲜᲝᲗ, ᲕᲐᲡᲔᲯᲘᲡ ᲜᲐᲐᲖᲠᲔᲕᲘᲐ. ᲛᲘᲡᲘ ᲗᲥᲛᲘᲗ, ᲔᲕᲠᲝ 2000-ᲖᲔ ᲑᲔᲚᲒᲘᲐ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲕᲐ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲠᲐᲡ ᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ „ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲐ“ ᲑᲔᲚᲒᲘᲘᲡᲗᲕᲘᲡ? ᲔᲠᲗᲮᲔᲚ, 1980-ᲨᲘ ᲘᲡᲘᲜᲘ ᲔᲕᲠᲝ�პᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘᲡ ᲤᲘᲜᲐᲚᲨᲘ ᲒᲐᲕᲘᲓᲜᲔᲜ, 1986 ᲬᲚᲘᲡ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲗᲐᲡᲖᲔ ᲙᲘ ᲛᲔᲝᲗᲮᲔᲜᲘ ᲘᲧᲕᲜᲔᲜ. ᲐᲒᲔᲠ ᲣᲙᲕᲔ ᲗᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲘᲐ ᲦᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲦᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲣᲩᲕᲔᲜᲔᲑᲘᲐᲗ. ᲛᲐᲨ, ᲠᲐᲡ ᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ ᲓᲦᲔᲡ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲐ?

ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲖᲔ ᲩᲐᲕᲐᲠᲓᲜᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, ᲑᲔᲚᲒᲘᲔᲚᲗᲐ ᲓᲐᲦᲛᲐᲡᲕᲚᲐ ᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲝᲓᲐ, ᲠᲐᲛᲐᲪ ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲔᲑᲘ ᲑᲔᲚᲒᲘᲣᲠᲘ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲙᲠᲘᲖᲘᲡᲖᲔ ᲐᲐᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲘᲕᲘᲓᲐ ᲕᲐᲡᲔᲯᲘ ᲓᲐ... ᲛᲝᲒᲔᲑᲐ ᲛᲐᲠᲝᲙᲝᲡᲗᲐᲜ, ᲘᲢᲐᲚᲘᲐᲡᲗᲐᲜ ᲓᲐ ᲜᲝᲠᲕᲔ�გᲘᲐᲡᲗᲐᲜ, ᲤᲠᲔ ᲞᲝᲠᲢᲣ�გᲐᲚᲘᲐᲡᲗᲐᲜ ᲓᲐ ᲰᲝᲚᲐᲜᲓᲘᲐᲡᲗᲐᲜ. ᲐᲡᲔᲗᲘ ᲨᲔᲓᲔᲒᲘ „ᲔᲨᲛᲐᲙᲣᲜᲔᲑᲡ“ ᲙᲐᲠᲒᲐ ᲮᲐᲜᲘᲐ ᲐᲠ ᲐᲮᲡᲝᲕᲗ. ᲐᲛᲐᲜ ᲬᲐᲠᲛᲝᲨᲕᲐ ᲑᲔᲚᲒᲘᲣᲠᲘ ᲔᲘᲤᲝᲠᲘᲐ. ᲘᲥᲐᲣᲠᲔᲑᲘ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲡ ᲚᲐᲛᲘᲡ ᲔᲕᲠᲝ�პᲘᲡ ᲗᲐᲡᲡ ᲡᲗᲮᲝᲕᲔᲜ.

ᲕᲘᲡᲘ ᲘᲛᲔᲓᲘ ᲐᲥᲕᲡ ᲕᲐᲡᲔᲯᲡ? ᲕᲔᲢᲔᲠᲐᲜᲔᲑᲘᲡ — ᲓᲔ ᲕᲘᲚᲓᲔᲡᲘ, ᲡᲢᲐᲚᲔᲜᲡᲘᲡ, ᲕᲘᲚᲛᲝᲢᲡᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲜᲘᲚᲘᲡᲘᲡ. ᲢᲝᲛᲘᲗ ᲖᲐᲘᲠᲔᲚᲘ ᲔᲛᲘᲚ ᲛᲔᲠᲔᲜᲖᲐᲡᲘ ᲓᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲒᲘᲝ ᲥᲘᲜᲭᲚᲐᲫᲘᲡ ᲓᲔᲠᲑᲔᲚᲘ ᲗᲐᲜᲐᲒᲣᲜᲓᲔᲚᲘᲡ ᲑᲠᲐᲜᲙᲝ ᲨᲢᲠᲣᲞᲐᲠᲘᲡᲐ. ᲔᲡ ᲮᲝᲠᲕᲐᲢᲘ ᲗᲐᲕᲓᲐᲛᲡᲮᲛᲔᲚᲘ ᲒᲣᲜᲓᲨᲘ ᲐᲮᲚᲐᲮᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲐ. ᲗᲐᲕᲘᲡᲘᲐᲜᲔᲑᲗᲐᲛ ᲐᲠ ᲛᲘᲘᲬᲕᲘᲔᲡ ᲓᲐ ᲛᲐᲜᲐᲪ ᲑᲔᲚᲒᲘᲔᲚ ᲥᲐᲚᲗᲔ ᲘᲥᲝᲠᲬᲘᲜᲐ, ᲣᲛᲐᲚ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲝᲑᲐᲪ ᲛᲘᲘᲦᲝ ᲓᲐ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲨᲘᲪ ᲓᲐᲛᲙᲕᲘᲓᲠᲓᲐ.

ᲓᲐ ᲙᲘᲓᲔᲕ, ᲕᲐᲡᲔᲯᲡ ᲩᲘᲜᲔᲑᲣᲚᲐᲓ ᲡᲪᲝᲓᲜᲘᲐ ᲤᲠᲐᲜᲒᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲤᲚᲐᲛᲐᲜᲓᲘᲣᲠᲘ ᲔᲜᲔᲑᲘ, ᲠᲐᲪ ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲑᲔᲚᲒᲘᲘᲡ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲨᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡᲘᲡᲐᲡ ᲚᲐᲛᲘᲡ ᲙᲐᲪᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲦᲘᲠᲡᲔᲑᲐ ᲧᲝᲤᲘᲚᲐ.

ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲕᲐᲚᲗᲝᲗ? ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ, ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲓᲐ, ᲘᲥᲐᲣᲠᲔᲑᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲬᲘᲜᲐᲛᲝᲠᲑᲔᲓᲘᲡ, ᲚᲘᲙᲔᲜᲡᲘᲡ ᲐᲛᲑᲐᲕᲘᲪ ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲐᲮᲡᲝᲕᲗ. ᲚᲘᲙᲔᲜᲡᲘᲡ ᲗᲐᲕᲒᲙᲐᲪᲝᲑᲘᲗ ᲑᲔᲚᲒᲘᲐᲛ ᲢᲠᲘᲣᲛᲤᲐᲚᲣᲠᲐᲓ ᲒᲐᲘᲐᲠᲐ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲬᲘᲜᲐ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲠᲩᲔᲕᲘ ᲪᲘᲙᲚᲘ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲔᲠᲔ, ᲠᲝᲪᲐ ᲡᲐᲥᲛᲔ ᲡᲐᲥᲛᲔᲖᲔ ᲛᲘᲓᲓᲒᲐ, ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲬᲧᲐᲚᲨᲘ ᲩᲐᲘᲧᲐᲠᲐ. ᲠᲐ ᲛᲝᲮᲓᲔᲑᲐ ᲐᲮᲚᲐ? 10 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲡ ᲑᲠᲘᲣᲡᲔᲚᲨᲘ ᲔᲕᲠᲝ 2000-ᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲐᲢᲩᲘᲐ: ᲑᲔᲚᲒᲘᲐ ᲨᲕᲔᲓᲔᲗᲡ ᲛᲐᲡᲞᲘᲜᲫᲚᲝᲑᲡ. ᲘᲥᲜᲔᲑ ᲖᲚᲐᲞᲐᲠᲘ ᲛᲐᲠᲗᲚᲐᲪ ᲡᲘᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲚᲔᲓ ᲘᲥᲪᲔᲡ...

REUTERS

ᲑᲠᲐᲜᲙᲝ ᲨᲢᲠᲣᲞᲐᲠᲘ — ᲮᲝᲠᲕᲐᲢᲘᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲣᲡᲢᲘ, ᲑᲔᲚᲒᲘᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲚᲘᲓᲔᲠᲘ

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲨᲕᲔᲓᲔᲗᲘ

აბა გაიხსენეთ შარშანდელი ოქტომბერი. სტოკჰოლმში, ევროშესარჩევი ციკლის ბოლო მატჩში შვედეთი პოლონეთს მასპინძლობს. თვითონ თავი ქუდში აქვს, უკვე ფინალისტია. აი, ინგლისის ბედი კი სკანდინავიელებზე ჰკიდია. შვედები ვაჟკაცურად მოიქცნენ, ბოლომდე დაიხარჯნენ და 2:0 მოიგეს. ამ შედეგმა ობიექტურად პოლონეთზე ძლიერ ინგლისს პლეი ოფის, მერე კი ფინალური ეტაპის საგზური მისცა.

პოლონეთთან სასტარტოში გასული თერთმეტი შვედიდან ათი ინგლისში თამაშობს. თუმცა, პირველი და მთავარი გოლი კენეტ ანდერსონმა გაიტანა, იტალიური „ბოლონიას“ თავდამსხმელმა, რომელსაც ბრიტანეთში არასოდეს უთამაშია.

შვედებმა ტრიუმფალურად ჩაამთავრეს შესარჩევი ციკლი. სულ ორი ქულა დაკარგეს და ისიც სად, ინგლისთან „უემბლიზე“. ჯამში ერთადერთი გოლი გაუშვეს, რაც შესარჩევი ციკლის საუკეთესო შედეგია. აი, გატანით კი ცხრავე ჯგუფის გამარჯვებულთა შორის ყველაზე ცოტა — 10 გაიტანეს, რამაც ადგილობრივ პრესას თავდასხმაზე არაერთი კრიტიკული შენიშვნა გამოათქმევინა.

შვედები მიიჩნევენ, რომ დღევანდელ ნაკრებში მთავარი ფიგურა ინგლისური „სანდერლენდის“ ნახევარმცველი შტეფან შვარცია, რომელსაც 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის გამოცდილება უმაგრებს ზურგს: „ის ნამდვილი ლიდერია და ნებისმიერ რთულ სიტუაციაში შეუცვლელი“ — ამბობს შვედთა მეორე მწვრთნელი ლარს ლაგერბეკი. მასთან ერთად ცენტრალური ფიგურა ლონდონური „არსენალის“ ფრედერიკ ლიუნგბერგი იქნება. ამათ „ქოვენთრის“ გამოცდილი მეკარე მაგნუს ჰედმანი და შემტევი კენეტ ანდერსონი დაუმატეთ და ერთობ სოლიდური კომპანია გამოვა.

მთავარი მწვრთნელი კი ტონი სოდერბერგია. ქვეყნის 21 წლამდელთა ნაკრების ყოფილი დამრიგებელი. 1997-ში მან ტომი სვენსონი შეცვალა, კაცი, რომელმაც 1994-ის მსოფლიოს ჩემპიონატზე შვედები მესამე ადგილზე გაიყვანა და ლამის ეროვნულ გმირად შერაცხეს. ეს იყო შვედთა ყველაზე დიდი წარმატება, მას შემდეგ, რაც 1958 წელს შინ მსოფლიოს თასის ფინალს უწიეს.

წინა ორი შესარჩევი ციკლი შვედებმა უხეიროდ ჩაატარეს. მანამდე კი, 1992-ის ზაფხულში შინ ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალში გავიდნენ და იქ გერმანიასთან 2:3 წააგეს. დღეს სოდერბერგი ფიქრობს, რომ რვაწლისწინანდელი შედეგის გამეორება შეუძლებელი სულაც არაა.

ᲤᲠᲔᲓᲔᲠᲘᲙ ᲚᲘᲣᲜᲒᲑᲔᲠᲒᲘ (№9) ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘᲡ "ᲐᲠᲡᲔᲜᲐᲚᲨᲘ" ᲗᲐᲛᲐᲨᲘᲗ ᲐᲠᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ

REUTERS

თურქეთი

თურქეთი მეორედ გავიდა ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე. წინა, სადებიუტო გამოსვლა ვერ გამოდგა წარმატებული — გუნდმა ინგლისში ყველა შეხვედრა წააგო. თუმცა, ეს ოთხი წლის წინ იყო და არაა აუცილებელი, წლეულსაც იგივე განმეორდეს.

თურქეთის ეკონომიკაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ტექნოლოგიების იმპორტს. ამ გზით აწარმოებენ თურქულ მანქანებს, ლუდს, ტკბილეულს, ტანსაცმელს და ათასგვარ რამე-რუმეებს. დაახლოებით მსგავსი რამ ფეხბურთშიც შეინიშნება. თურქეთის ნაკრების მწვრთნელი მუსტაფა დენიზლი წიგნიერი და ნასწავლი კაცია. იგი ყურადღებით აკვირდება მსოფლიო ფეხბურთში გაჩენილ ახალ-ახალ მიმდინარეობებს და სასწრაფოდ „ათურქულებს“. მარტივად რომ ვთქვათ, დენიზლი საფეხბურთო სიახლეებს თურქი ფეხბურთელების სათამაშო მანერასა და სტილს მოარგებს ხოლმე. მასალა კი სუფთა თურქული აქვს მწვრთნელს — ეროვნული ნაკრების ყველა წევრი თავისი ქვეყნის ჩემპიონატში თამაშობს.

და რას მიაღწია ამით დენიზლიმ? იმას, რომ თურქეთი მეორედ მოხვდა ევროპის ჩემპიონატზე. აგერ ახლახან არ იყო ევრო-2000-ის შესარჩევი ტურნირი? განა ახლანდელი თურქეთი ის გუნდია, რომელსაც ინგლისში ყველა მოსურნემ გადაუარა?

თურქეთს, ალბათ, ყველაზე დიდი და მხურვალე მხარდაჭერა ექნება ჩემპიონატის დღეებში, შესაძლოა თანამასპინძელ ბელგია-ჰოლანდიაზეც მეტი. ჯერ მარტო რაც ევროპაში თურქი ცხოვრობს, იმის მცირე ნაწილიც რომ მიაწყდეს ბენილუქსს, საეჭვოა ერთმა სტადიონმა დაიტიოს. ახლა თურქეთში მცხოვრებნიც ვიკითხოთ. უკლებლივ ყველა თურქი თავს ვალდებულად თვლის, იყოს გულშემატკივარი. ხანდახან ზომაზე მეტად აგრესიულიც. ნაკრების ქომაგობა კი განსაკუთრებულია — ამ დროს მეორე პლანზე გადადის ქალაქური, კუთხური და საკლუბო ინტერესები, ყველა ეროვნული გუნდის მხარდასაჭერად ირაზმება.

და ბოლოს, წლევანდლამდე გინახავთ ევროთასის მფლობელი თურქული გუნდი? ახლა „გალათასარაი“ ვნახეთ, რომლის წარმატება კერძო თუ სახელმწიფო სექტორის მიერ სპორტში დაბანდებული ფულის გამოძახილია. ფული უცილობელ წარმატებას არ ნიშნავს, მაგრამ მისი მიღწევის ერთ-ერთი მთავარი წინაპირობაა. ასე რომ, თურქეთის მთლად ჩამოწერა არ შეიძლება.

უეფას თასის მფლობელი ჰაქან შუქური (№9) ახალ ჯილდოებზე ფიქრობს

REUTERS

იტალია

REUTERS

ჯიოლო მალდინის "სკუადრა აძურაში" ასზე მეტი თამაში აქვს ჩატარებული

ევრო 2000-ის ოფიციალურმა საინტერნეტო საიტმა გულშემატკივართა სხვადასხვა გამოკითხვა ჩაატარა, რომელთა შორის ერთ-ერთი ასეთი გახლდათ: 16 ფინალისტს შორის რომელ გუნდს ეყოლება ყველაზე შეუვალი დაცვა? გამოკითხვას მრავალი ადამიანი გამოეხმაურა და მათმა 27,7 პროცენტმა ანუ უმრავლესობამ ცარიელ გრაფაში იტალია ჩაწერა. „სკუადრა აძურა" ის გუნდია, რომლისგანაც ყველა, ყოველთვის, საკუთარი საჯარიმო მოედნის წინ აგებულ ყრუ კედელს ელის.

ბუნებრივია, ძლიერი დაცვა სხვა გუნდებსაც ჰყავთ, მაგრამ იტალიაში კარის უსაფრთხოება განსაკუთრებულ სიმაღლეზეა აყვანილი. ბევრი ნაკრები თუ კლუბი თავს კარგად იმიტომ იცავს, რომ მაღალი კლასის ოსტატები შეყარა და გონივრულად შეურჩია სისტემა. მათგან განსხვავებით იტალიელებს, რომელთაც ოსტატები არასდროს ჭკლებიათ, სისტემისადმი თავისებური დამოკიდებულება აქვთ.

„რა მნიშვნელობა აქვს სამი მცველით ვითამაშებთ თუ ოთხით. ასე იქნება თუ ისე, ჩვენი ნაკრების დაცვა სოლიდური უნდა იყოს და როდესაც გოლის გატანას ვლამობთ, ზურგი არ უნდა გვიშიშვლდებოდეს!" — ამბობს „სკუადრა აძურას" თავკაცი დინო ძოფი და მისი ნათქვამი ზედმიწევნით იტალიურია. არ გენიშნათ? სამი მცველით თუ ოთხით ამ ქვეყნის ეროვნული გუნდი შეუვალ სარტყელს უნდა ქმნიდეს. იტალიელებმა იციან როგორ მოახერხონ ეს.

საერთოდ, „სკუადრა აძურა" მაღალი — საშუალო კლასის მოთამაშეებით გახლავთ დაკომპლექტებული. თავადვე აღიარებენ, რომ აკლიათ იმ ტიპის შემოქმედი ვარსკვლავი, როგორც 80-იანი წლების დასაწყისში ჰყავდათ: ჯანკარლო ანტონიონი. კი მაგრამ, რობერტო ბაჯო? იკითხავთ თქვენ და ამ კითხვაზე პასუხს ვერავინ გაგცემთ, რადგან ყველა ამასვე კითხულობს. პასუხი, ალბათ, მხოლოდ ძოფმა და მისმა თანამემამულე კოლეგებმა იციან. მათ, ვინც ბაჯოს აგერ უკვე ხუთი წელიწადია არ სწყალობენ.

თავდასხმაში, საყოველთაო აზრით, იდეალური რომაელი ფრანჩესკო ტოტისა და „ინტერის" კრისტიან ვიერის წყვილი იქნებოდა, მაგრამ ვიერი დაშავდა. არის კიდევ იუვენტუსის დუეტი, ალესანდრო დელ პიერო და ფილიპო ინძაგი. ამ წყვილს პრესის წინ თავი მოაქვს, ორი წლის წინ ერთად 59 გოლი გავიტანეთო, მაგრამ ინტრიგანმა ჟურნალისტებმა შენიშნეს, რომ გასულ სეზონში, რამდენიმე შეხვედრაში დელ პიეროს ინძაგისთვის გოლის გატანა არ მიულოცავს, ხოლო „ლაციოსთან" 0:1 დამარცხების დღეს სულ ერთხელ მიაწოდა პასი. რას ნიშნავს ეს? თუმცა, რასაც უნდა ნიშნავდეს ყველამ იცის, რომ სამი მცველით, ოთხით თუ უმცველოდ იტალია თავის კართან არავის მიუშვებს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესპანეთი

1998 წლის 5 სექტემბერს, ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის მეექვსე ჯგუფის პირველ მატჩში ესპანეთის ნაკრები ლარნაკაში კვიპროსთან 2:3 დამარცხდა. თავმოყვარე ესპანელებმა ეროვნული გუნდის მთავარ მწვრთნელს ხავიერ კლემენტეს, რომელიც თითქმის ათი წელი თავკაცობდა პირნეველებს, კვიპროსთან შერცხვენა არ აპატიეს, მით უფრო, ბასკის გუნდიდან წასვლაზე ჯერ კიდევ საფრანგეთის მსოფლიოს ჩემპიონატზე ესპანელთა წარუმატებელი გამოსვლის მერეც ლაპარაკობდნენ. ერთი სიტყვით, კლემენტე დაითხოვეს და მის ნაცვლად ნაკრების მწვრთნელის პოსტი მადრიდის „რეალის“ ყოფილ ფეხბურთელს, ესპანეთში სახელდაგდებულ ხოსე ანტონიო კამაჩოს ჩააბარეს.

კამაჩოს მიერ დამოძღვრილმა ფეხბურთელებმა შესარჩევი ტურნირის დარჩენილ შვიდ მატჩში, არც მეტი, არც ნაკლები 40 ბურთი გაიტანეს, მხოლოდ 2 გაუშვეს და ცხადია, ჯგუფში პირველობა არავის დაუთმეს. აბა, კვიპროსთან მარცხზე ვინღა იტყოდა რამეს, როცა ესპანელებმა ჯერ ვალენსიაში ავსტრიელებს გადაუარეს (9:0), მერე კი ბადახოსში კვიპროსელებს ცხვირიდან ძმრად ადინეს ლარნაკული თავხედობა (8:0).

საფეხბურთო ევროპა ესპანეთზე, როგორც კონტინენტის პირველობის ერთ-ერთ ფავორიტზე ალაპარაკდა. ამას დაუმატეთ ჩემპიონთა ლიგაში სამი პირნეული კლუბის — მადრიდის „რეალის“, „ბარსელონასა“ და „ვალენსიას“ ძლევამოსილი სვლა, ბოლოს ესპანური ფინალი, დელ ბოსკეს მადრიდელი შეგირდების ტრიუმფი და იოლი მისახვედრია, რატომ მიიჩნევენ სპეციალისტები კამაჩოს გუნდს ჰოლანდია-ბელგიაში ჩემპიონობის კანდიდატად.

დასტურად სახელოვანი ჰოლანდიელი მწვრთნელის რინუს მიხელსის სიტყვები მოვიშველიოთ. იგი ამბობს: „ჩემი აზრით, ევროპის ჩემპიონი ესპანეთის ნაკრები გახდება, მას ჰყავს საუკეთესო ფეხბურთელები და ისინი საუცხოოდ თამაშობენ“. მიხელსს არ დაუკონკრეტებია „საუკეთესოებში“ ვის გულისხმობდა, მაგრამ ამას რა დიდი მიხვედრა უნდა — რაულ გონსალეს ბლანკო — ესპანეთის ნაკრებისა და მადრიდის „რეალის“ 22 წლის ვარსკვლავი, რომელმაც შესარჩევი ტურნირის 8 მატჩში 10 გოლი გაიტანა, სულ კი სანაკრებო 19 გოლს ითვლის და, აღბათ, არც ის დღეა შორს, ემილიო ბუტრაგენიოს (26) რეკორდს რომ გამოუყვანს წირვას.

რაული და მისი რეალელი თანაგუნდელები ევრო 2000-ს ცხადია, ამაღლებული განწყობით შეხვდებიან, 24 მაისს, პარიზის „სტად დე ფრანსზე“ „ვალენსიის“ დამარცხებით ესპანელთა „ოქროს ბიჭუნამ“ კარიერაში მეორედ მოიგო უპრესტიჟულესი ჩემპიონთა ლიგა.

თუ რინუს მიხელსი და მისი დარი სპეციალისტები ესპანელებს ფავორიტებად მიიჩნევენ, აი, თავად ხოსე ანტონიო კამაჩო, ერთობ მოკრძალებულია: „ჩვენ ჯერ ისეთი არაფერი მოგვიგია, ჩემპიონობის პრეტენდენტად რომ მოგვნათლონ. ვფიქრობ ფავორიტებში არ უნდა ჩაგვრიცხონ. ასეთი გერმანია, საფრანგეთი და იტალიაა“.

და მაინც, შორეულ 1964 წელს, მადრიდის „სანტიაგო ბერნაბეუზე“, ევროპის მეორე ჩემპიონატის ფინალში მასპინძლებმა პერედასა და მარსელინოს გოლების წყალობით საბჭოთა ნაკრები 2:1 დაამარცხეს და ტურნირის გამარჯვებულები შეიქნენ, ერთი სიტყვით, ესპანელებს ჩემპიონობა დაჭაშნიკებული აქვთ და ვინძლო ჰოლანდია-ბელგიაშიც გაიხსენონ მისი გემო.

რაული (მუაში) — მეათე ნომერთა შორის გამორჩეული

REUTERS

ნორვეგია

ბაფრი კეთილაძე

დავით ჯიჯეიშვილი და ტორე ანდრე ფლო (№9) ოსლოს სტადიონზე 1999 წლის 30 მაისს

სულ ცოტა ხნის წინ ევროპის საფეხბურთო რუკაზე ეს ქვეყანა არ არსებობდა. მიზეზი სავსებით ბუნებრივი იყო — კონტინენტის უკიდურესი ჩრდილოეთი, ყინვა, თოვლი და საკმაოდ მცირე მოსახლეობა. ბოლო ფაქტორი, რა თქმა უნდა, არც ისე მნიშვნელოვანია, მაგრამ მაინც: როცა ხუთმილიონიანი საქართველო დღენიადაგ წუწუნებს პატარა ვარო, სამ მილიონიან ნორვეგიაზე ამის თქმა ნამდვილად შეიძლება.

აი, ამ პატარა და გაყინულმა ქვეყანამ ამ ბოლო ხანს თავისი, შესაძლოა არც თუ პრესტიჟული, მაგრამ მაინც საკუთარი ადგილი მოითხოვა და მიიღო კიდეც. დღეს ნორვეგიის ნაკრებს ანგარიშს უწევენ, დღეს ნორვეგიულ გუნდებს წკიპურტის წამოსარტყმელ გუნდებად აღარ მიიჩნევენ, დღეს ინგლისის პრემიერლიგაში სამი ათეული ნორვეგიელი თამაშობს, დღეს ნორვეგიის ნაკრები, ლამის, ერთადერთი გუნდია მსოფლიოში, ვისაც ბრაზილიის ნაკრებთან დადებითი ბალანსი აქვს. ზოგი ამ გეომეტრიული პროგრესიით მზარდ წარმატებებს ნაკრების ყოფილ მწვრთნელს ეგილ ოლსენს, მეტსახელად „დრილუს“ (ჩვენებურად — ბურღს) უკავშირებს, ზოგი ახალგაზრდა ფეხბურთელების უცხო ქვეყნებში განსაკუთრებით ბრიტანეთში მიგრაციის ხელშეწყობას, ზოგი რას და ზოგი რას. ეს ყველაფერი ასეა, მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ აქ ფეხბურთის თამაში უნდათ და ამ სურვილს შრომისმოყვარეობისა და ნიჭის გარდა კეთილსინდისიერებაც ასაზრდოებს.

ნორვეგიის ნაკრები მშვიდად, საქმიანად ემზადება ევროპის ჩემპიონატისთვის. „დრილუს“ ადგილი ახლა ნილს იოჰან სემბს უკავია, რომლის განკარგულებაში სულ ცოტა სამი ვარსკვლავი მაინც იქნება — ტორე ანდრე ფლო („ჩელსი“, შესაძლოა მომავალ სეზონში „მანჩესტერ იუნაიტედში“ ამოჰყოს თავი თავის ახლადშერთულ ცოლთან ერთად), ოლე გუნარ სოლსკიაერი („მანჩესტერი“) და იონ კარეუ („რუსენბორგი“, მის გადაბირებას ახლა რამდენიმე ცნობილი კლუბი ცდილობს).

შანსები? კაცმა არ იცის. ისე, სპეციალისტების ვარაუდით მაინცდამაინც ბრწყინვალე შედეგს არ უნდა ველოდოთ, მაგრამ მოდით, მოვიცადოთ... ეს ნორვეგიის ნაკრებია!

იუგოსლავია

როცა ევრო 2000-ის შესარჩევი ტურნირის წილისყრამ იუგოსლავია და ხორვატია ერთ ჯგუფში მოახვედრა, მტრადმოკიდებული ამ ორ ქვეყნის საფეხბურთო ნაკრებთა სამომავლო მატჩები იმთავითვე ყურადღების ცენტრში მოექცა. ბალკანეთის ნახევარკუნძულზე დატრიალებული სისხლიანი ამბების გაგრძელებას

პრედრაგ მიატოვიჩი გადამწყვეტი გოლების გატანს ნაჩვევია

ფეხბურთის მინდვრებზეც ელოდნენ და არცთუ უსაფუძვლოდ.

სოციალისტური იუგოსლავიის ნაკრებში ერთ დროს მხარდამხარ მოთამაშე ფეხბურთელებს ამჯერად თავიანთი ძალა სხვადასხვა დროშის და ჰიმნის ქვეყნების გუნდებში უნდა დაემტკიცებინათ. საბედნიეროდ, იუგოსლავიელთა და ხორვატთა დაპირისპირება მშვიდობიანად დასრულდა. თუმცა ერთი კია, შესარჩევი ტურნირი უკეთ იუგოსლავიელებმა ჩაატარეს, მხოლოდ ერთხელ დამარცხდნენ, ხორვატებთან მოპოვებულ ორ ქულას დანარჩენი ხუთი მატჩის მოგებით ნაშოვნი 15 მიუმატეს და 17 ქულით ჯგუფის გამარჯვებულნი შეიქნენ. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ევროპის უძლიერეს ლიგებში მოთამაშე სერბ ვარსკვლავთა გუნდი ჰოლანდია-ბელგიაში გაემგზავრებოდა.

მაშ ასე, იუგოსლავია კვლავ დაუბრუნდა ევროპის საფეხბურთო ოჯახს, საიდანაც ბალკანეთის ომის გამო 1992 წელს მოკვეთეს. გესსომებათ, მაშინ სლავთა ადგილი დანიელებმა დაიჭირეს და სარუქარიც შეიშვნეს კონტინენტის ჩემპიონები გახდნენ.

ომის გამოძახილი დღესაც ახსენებს თავს ვუიადინ ბოშკოვის შეგირდებს. იტალიური „ლაციოს“ ნახევარმცველს სინიშა მიხაილოვიჩს სოციალისტობა და იუგოსლავიის პრეზიდენის, მსოფლიოში სახელგატეხილი სლობოდან მილოშევიჩის თანამოაზრეობა დააბრალეს. სინიშამაც თუ ეგრეა, აწი ჩემს მიერ უბადლოდ შესრულებულ საჯარიმოებს ვეღარ იხილავთ, მიმიფურთხებია თქვენი ევროპის ჩემპიონატისთვისო. მაგრამ საქმეში დიდი ხალხი ჩაერია, მიხაილოვიჩისთვის ბოდიშის მოხდაც არ დავიწყნიათ და განდგომილიც ასე შეირიგეს.

დღეს ნაკრების შესაჭემ, ვუიადინ ბოშკოვმა თითქმის ყველა უძლიერეს იუგოსლავიელ ფეხბურთელს მოუყარა თავი. ეგაა მხოლოდ, ტრავმის გამო გუნდში ვერ მოხვდა დეიან სავიჩევიჩი. ბოშკოვს იტალიური „ფიორენტინას“ თავდამსხმელის პრედრაგ მიატოვიჩის ტრავმაც უღრღნის გულს. მიატოვიჩი გუნდის ლიდერი, მთავარი მეგოლეა. 46 სანაკრებო მატჩში 22-ჯერ დაულაშქრავს მეტოქეთა კარი. თუმცა მწვრთნელს იმედი ჯერ არ გადაუწურავს, მიატოვიჩი ჩემპიონატისთვის ჯანზე იქნებაო, არწმუნებენ ექიმები.

NOGOMETNA ZVEZA SLOVENUE

NZS

სლოვენია

— საოცარია, ქვეყნის მოსახლეობა ორი მილიონიც არაა, მას კი ამდენი ძლიერი კალათბურთელი ჰყავს — ამბობს რიგითი სლოვენიელი და თან თავის კალათბურთელების წარმატება ეამაყება.

— საოცარია, პოსტსოციალისტურმა რესპუბლიკამ უმტკივნეულოდ, ერთი ტყვიის გასროლის გარეშე მოიპოვა დამოუკიდებლობა, მაშინ, როცა იუგოსლავია და მისი ყოფილი რესპუბლიკები დღესაც ცეცხლის ალში არიან გახვეულნი. მერე საგარეო ვალი არ აუღია, მისი ცხოვრების დონე კი საშუალო ევროპულია — ამბობს რიგითი დასავლეთევროპელი და ხელს იუგოსლავიის ყოფილი რესპუბლიკა სლოვენიისკენ იშვერს.

— საოცარია, ამ ქვეყნის უძლიერეს კლუბს, ლიუბლიანის „ოლიმპიას“ ჩვენი „დინამო“ ყოველთვის მაგრად უგებდა, დღეს კი მათი ნაკრები ჩვენსას იოლად ამარცხებს — ამბობს რიგითი ქართველი.

სლოვენიამ ევრო-2000-ის შესარჩევ ტურნირში ერთხელ მოუგო და ერთხელ ფრედ ეთამაშა საქართველოს. ამ ქვეყნის ნაკრებს სლოვენიის ყველა დროის უძლიერესი ფეხბურთელი, თბილისის „დინამოსგან“ არაერთხელ ჩაგრული „ოლიმპიას“ ყოფილი მოთამაშე სრეჩკო კატანეცი წვრთნის.

მუშაობის სწორი ორგანიზაცია და ხელთ არსებული ძალების მაქსიმალურად გამოყენება — აი კატანეცის სამწვრთნელო მოღვაწეობის ამოსავალი წერტილი. შედეგი? შესარჩევ ჯგუფში მეორე ადგილი, პლეი ოფიდან ფავორიტად შერაცხული უკრაინის გამოგდება და ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გასვლა.

სლოვენიის ნაკრებს არ ჰყავს ვარსკვლავები, მისი საუკეთესო ფეხბურთელები ევროპის მეორეხარისხოვან გუნდებში თამაშობენ. ცხადია, ჩემპიონები ვერ გახდებიან, მაგრამ მათ წინააღმდეგ იოლად ვერავინ გაისეირნებს. სლოვენიას მეტი არც არაფერი უნდა, მაგრამ ის კი იცის, როგორ მიაღწიოს სასურველს.

და ერთიც. ფეხბურთი სლოვენიაში მესამე სპორტია. იგი პოპულარობითაც, ყურადღებითაც და დაფინანსებითაც ჩამორჩება კალათბურთს და ზამთრის სახეობებს. მიუხედავად ამისა, სლოვენია ევროპის ჩემპიონატის ფინალშია.

ᲓᲦᲔᲕᲐᲜᲓᲔᲚ ᲡᲚᲝᲕᲔᲜᲘᲔᲚ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲔᲚᲗᲐᲒᲐᲜ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ ᲖᲚᲐᲢᲘᲡ ᲖᲐᲭᲕᲘᲠᲘ (№10)

REUTERS

ჰოლანდია

REUTERS

ედგარ დავიდსი ევროპის ჩემპიონატზე ერთადერთი სათვალიანი ფეხბურთელი იქნება

თითქოს ყველაფერი რიგზეა — არც არავინ ჩხუბობს, კლიმატურ პირობებს კი ყველა ბავშვობიდანაა შეგუებული. შესაბამისად, თამაშიც შეიძლება. ყოველი შემთხვევისთვის, დღემდე ასეა.

10 ივნისის მერე რა მოხდება, უკვე ძნელი სათქმელია. შესაძლოა, ვინმემ ფრანკ რაიკაარდს ტაქტიკა დაუწუნოს, ამან კი ამბოხებული გუნდიდან დაითხოვოს — ისე, როგორც ევრობის წინა ჩემპიონატზე, როცა ჰიდინკმა დავიდსი მოკვეთა. ასეთი რამ გამორიცხული არაა.

აბა, ყველაფერი რიგზეაო?

1976 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე იოჰან კრუიფმა მწვრთნელს შემადგენლობის თავისი ვარიანტი შესთავაზა და როცა, ცხადია, უარი მიიღო, მოედანზე კი გავიდა, მაგრამ ხაზგასმით ტაიმნახევრის განმავლობაში ფეხი არ გაუნძრევია. ჰოლანდიამ წააგო.

1978 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე თამაში იუარეს იმავე იოჰან კრუიფმა და ვილი ვან ჰანეგემმა. კრუიფს ბუცების მწარმოებელ ერთ ფირმასთან ჰქონდა კონტრაქტი დადებული, ეროვნულ ნაკრებს კი — მეორესთან. ვან ჰანეგემის ძუკნამ კი მაინცდამაინც მსოფლიოს ჩემპიონატის წინ შვა ლეკვები. ვილიმაც, ამათი მიმხედავი არავინ მყავს შინო, და, არგენტინაში არ წავიდა.

1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე რუუდ გულიტმა განაცხადა, ამერიკაში თამაშები დღისით, პაპანაქება მზეში ტარდება და ტაქტიკა ამის მიხედვით შევარჩიოთთო. მწვრთნელმა იუარა და ჰოლანდიის ნაკრებიც აშშ-ში კაპიტნის გარეშე გაფრინდა.

და რამდენი შესარჩევი მატჩი გააცდინა ბერხკამპმა იმის გამო, რომ ფრენის ეშინია?

...შეხედავ თამაშის წინ გამწკრივებულ 11 გერმანელ ფეხბურთელს და კაცს თვალწინ ვერმახტის ჯარი წარმოგიდგება; ჩაუვლის ტელეოპერატორი გულზეხელდადებულ 11 ბრაზილიელს და კაცი ხვდები, რომ ამათი წაგება სამშობლოში ათეულობით ადამიანს შეიწირავს. მოკლედ, მათ უკან სამშობლოა.

რა დგას ჰოლანდიელთა უკან?

ჰოლანდიის ნაკრები ისევე განსხვავდება დანარჩენებისგან, როგორც თავად ქვეყანა.

მფრინავი ჰოლანდიელები... გააფრენენ თუ გაფრინდებიან?

ჩეხეთი

პოზორ, ჩეხები მოდიან! რუსულ ენას შეჩვეული ადამიანისთვის ეს ნიშნავს: ვაი, სირცხვილო, ჩეხები მოდიან; მაგრამ ნურას უკაცრავად, ჩეხებს სამარცხვინო არაფერი სჭირთ, მითუმეტეს როდესაც საქმე ევროპის ჩემპიონატს ეხება. ნუ დაგვავიწყდება, რომ ჩეხეთი ოთხი წლის წინ, ევრო 96-ის ფინალში გავიდა და იქ სახელოვან გერმანიასთან, დამატებით დროში, „ოქროს გოლის“ წესით წააგო. ნურც იმას დავივიწყებთ, რომ ეს ქვეყანა სლოვაკეთთან ერთად, კომუნისტების დროს, 1976 წელს სულაც კონტინენტის ჩემპიონი გახდა და ფინალში იმავ მქუხარესახელიან, მაშინ მსოფლიოს ჩემპიონ გერმანიას პენალტების სერიაში მოუგო.

მაშ, რაღა პოზორ? ის, რომ ჩეხურად ეს სიტყვა ნიშნავს — „ფრთხილად“. ანუ პოზორ, ჩეხები მოდიან გაფრთხილებაა და ერთობ საჭიროც. ვინც იოჟეფ ხოვანეცის გუნდს სერიოზულ ძალად არ მიიჩნევს, დაისჯება.

საზოგადოდ, რითაა გამორჩეული ჩეხთა ერი? ლუდით? ლამაზი დედაქალაქით? საკსებით მართალია, მაგრამ, ვგონებთ, ჩეხებს უპირველესად დისციპლინის თანდაყოლილი ნიჭი გამოარჩევთ და სპორტსა თუ ცხოვრებაში მათი წარმატებების ერთ-ერთი ძირითადი მიზეზიც აქ უნდა ვეძიოთ.

„ჩემი ფეხბურთელებით ძალიან კმაყოფილი ვარ. ამხანაგურ შეხვედრებში ისინი ამტკიცებენ, რომ ერთსულოვნად მოქმედება შეუძლიათ. აქ მხოლოდ მოედანზე გასულ 11 ფეხბურთელს კი არ ვგულისხმობ, არამედ მათაც, ვინც სათადარიგოთა სკამზე ზის. მიხარია, როდესაც ვხედავ, რომ გუნდის უმთავრესი გულშემატკივრები ჩემს გვერდით სხედან“ — ამბობს ხოვანეცი.

ვისაც ბოლო წლებში ჩეხთა ერთიანი გუნდის თამაში უნახავს, უპირველეს ყოვლისა სწორედ ფეხბურთელთა ზედმიწევნით შეთანხმებულ გადაადგილებებს მიაქცევდა ყურადღებას. და კიდევ, თუ რაიმე არ გამოდის, მათ ასევე ერთსულოვნად გარდაქმნა, უკეთესი ვარიანტისკენ შეწყობილი სვლა ხელეწიფებათ.

თავისთავად ცხადია, ასეთ ჯგუფურ მოქმედებებს მოთამაშეთა ხასიათისა და პროფესიონალიზმის გარდა მწვრთნელის ინტელექტიც სჭირდება. ევრო 96-ზე ინტელექტუალური ცენტრის ფუნქცია ხოვანეცის წინამორბედმა, დუშან უჰრინმა ბრწყინვალედ შეასრულა. ახლა კი პან იოჟეფის ჯერია. შესარჩევი ციკლის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ (10 თამაშიდან 10 გამარჯვება) ხოვანეცს ამ მხრივ არაფერი დაეწუნება, თუმცა ორ წელიწადში გაბნეული შეხვედრები ერთია, ხოლო ერთ თვეში შეკუმშული, მეორე.

ვნახოთ. თუმცა, ერთი უეჭველი უნდა იყოს: გააზრებული ფეხბურთის მოყვარულთ სასიამოვნო გუნდთან შეხვედრა, მეტოქეებს კი კერკეტი კაკალი ელით. ასე რომ, პოზორ!

პატრიკ ბერგერი



პაველ ნედვედი

საფრანგეთი

REUTERS

მსოფლიოსა და ევროპის 1998 წლის საუკეთესო ფეხბურთელი ზინედინ ზიდანი

გამარჯვების ქალღმერთს, ნიკეს, არაფერი ეშლება. იგი თავისი სამართლით სჯის და ნაკლებად აინტერესებს რას ვფიქრობთ მოკვდავნი. ნიკეს მფარველობით ნიჭი და დამსახურება არავის დაკარგვია და არც დაეკარგება.

დიდია ნიკეს სამართალი. ყველაფერი აწონილია, სიძლიერეცა და სისუსტეც. ზოგს ოთხჯერ არგუნა მსოფლიოს ჩემპიონობა, მაგრამ საუკუნის ბოლო ფინალში მწარედ დაამარცხა, ზოგს სამჯერ ამყოფინა, ზოგს ორჯერ, მავანსაც ერთხელ, ხოლო კიდევ ერთს, საფრანგეთს, სწორედ საუკუნის ბოლო ფინალში დაადგა გვირგვინი.

რა დამსახურებათათვის? რაიმონდ კობა, ჟიუსტ ფონტენი, მიშელ პლატინი, ჟან ტიგანა და ზინედინ ზიდანი ცალკე იყოს — ჟიულ რიმეს, გაბრიელ ანოსა და ანრი დელონის ღვაწლი გავიხსენოთ. პირველი რომ არა, ოთხგზის, სამგზის თუ ორგზის ჩემპიონებს მსოფლიოს პირველობა არ ექნებოდათ, რადგან ასეთი შეჯიბრების იდეა სწორედ ფიფას ამ ფრანგი პრეზიდენტისგან მოდის. მეორე რომ არა, დღეს არ გვექნებოდა თვალისმომჭრელი ჩემპიონთა ლიგა და სხვა ევროთასები, რადგან ევროპის საკლუბო ჩემპიონატის იდეა სწორედ ამ ფრანგი ჟურნალისტისგან მოდის. მესამე რომ არა, დღეს კონტინენტის პირველობის ციებ-ცხელება არ შეგვაწუხებდა, რადგან ევროპის ჩემპიონატის იდეა სწორედ საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციის ამ პრეზიდენტისგან მოდის.

ევროპის უძლიერესი ნაკრების ტიტული საფრანგეთს ნიკემ 1984 წელს უბოძა, სავარაუდოდ ყველაზე ლამაზ ჩემპიონატში, სადაც საკუთრივ ფრანგთა გარდა ესპანეთის, დანიის და პორტუგალიის დაუვიწყარი გუნდებიც თამაშობდნენ.

მაშინ პლატინის დიდი თაობა ბრწყინავდა, ახლა ზიდანის დროა, მაგრამ შეძლებენ ახლანდელები იმ ტრიუმფის გამეორებას? კაცმა რომ თქვას, ახლანდელებმა ორი წლის წინ, მსოფლიოს პირველობაზე მეტი შეძლეს, მაგრამ მიღწეულით დაკმაყოფილება ხომ სისუსტეა.

და რით განსხვავდება დღევანდელი საფრანგეთი ორი წლის წინანდელისგან? უპირველესად მწვრთნელით. ცნობილი ემე ჟაკე უცნობმა როჟე ლემერმა შეცვალა და იმავ ვარსკვლავებისგან სხვა გუნდის მშენებლობა დაიწყო. თავად თქვა, ჟაკე თამაშს მოედნის სიგრძეზე შლიდა, მე უფრო სიგანეზე გაშლა მიყვარსო.

გაამართლებს სიახლე? შესაძლოა გაამართლოს, შესაძლოა არა, მაგრამ თქვენი ნებართვით ერთ ეჭვს გამოვთქვამთ: საფრანგეთის ნაკრები აღზევების პერიოდებშიც დამატებით სტიმულს ითხოვს და როგორც სტატისტიკა გვაჩვენებს, ამ სტიმულს საკუთარი კედლები აძლევს.

ევრო 2000 კი ბელგიასა და ჰოლანდიაში ტარდება.

დანია

ლამის ოცი წელიწადია, დანია დიდ საფეხბურთო ქვეყნად იქცა. დღეს ევროპული და მსოფლიო სარბიელი დანიის ნაკრების გარეშე წარმოუდგენელია. ყველაფერს კი 80-იანი წლების დასაწყისში ჩაეყარა საფუძველი, როცა დანიელთა ნაკრების მწვრთნელად ზებ ჰიონტეკი დაინიშნა. ჰიონტეკმა მთელი ერის მხარდაჭერით შეძლო ევროპის განთქმულ კლუბებში მოთამაშე დანიელი ვარსკვლავების შეკრება და თავისი მაღალგემოვნებიანი და ინტელექტუალური იდეების ხორცშესხმა.

თავის პირველსავე ევროპის ჩემპიონატზე 1984 წელს, დანიელები ნახევარფინალში გავიდნენ. რვა წლის შემდეგ კი, უკვე რიქარდ მიოლერ ნილსენის ხელმძღვანელობით კონტინენტის ჩემპიონები გახდნენ (ევრო 92-ზე დანიელები შემთხვევით მოხვდნენ — მათი შესარჩევი ჯგუფის გამარჯვებული იუგოსლავია ომიანობის გამო მოკვეთეს შეჯიბრიდან). 90-იანი წლების შუაწელიდან დანიის ნაკრებს დიდი დანიური თაობის სამი წარმომადგენელი შემორჩა — ძმები მიქაელ და ბრაიან ლაუდრუპები და მეკარე პიტერ შმაიხელი. მიქაელი საფრანგეთის მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ გამოეთხოვა ფეხბურთს, ბრაიანმა კი ნაკრებში თამაში იუარა. შმაიხელი კვლავ ნაკრების კაპიტანი და მეკარეა. ლაუდრუპების ეპოქა დასრულდა, მაგრამ დანიური ფეხბურთის წიაღში ტალანტები და მაღალი კლასის მოთამაშენი არ ილევიან. სახელები საძებარი არ არის: ვთქვათ, თომას ჰელვეგი, ებე სანდი, მარტინ იორგენსენი, იონ დალ ტომასონი... მით უმეტეს, რომ ჭკვიანური და მოქნილი თამაში დანიელებს სისხლსა და ხორცში აქვთ გამჯდარი და უძლიერეს მეტოქეებთანაც კი თავიანთი გასაოცარი საფეხბურთო ინტელექტით გადიან ფონს.

დანიელთა ამჟამინდელი მწვრთნელი შვედი ბო იოჰანსონი ამ საფეხბურთო სტილს არც გასულ მსოფლიო ჩემპიონატზე ღალატობდა და ევრო-2000-ის შესარჩევ ციკლში. იტალიელებთან სტუმრად მოპოვებული გამარჯვება სწორედ საუკეთესო დანიურ ტრადიციათა მაგალითი იყო.

დანიელებს არასოდეს ერგებათ ხოლმე იოლი მოწინააღმდეგენი. ევრო 2000-ის ჯგუფში ისინი ევროპის ვიცე-ჩემპიონ ჩეხებთან, მსოფლიოს ჩემპიონ ფრანგებთან და მასპინძელ ჰოლანდიელებთან მოხვდნენ. ამ უძნელესი ჯგუფიდან გასვლა მათთვის ლამის წარმოუდგენელია, მაგრამ ყველას ახსოვს — დანიის ნაკრებს ნებისმიერი მოწინააღმდეგის გაბითურება ხელეწიფება. დიახ, სწორედ გაბითურება. ამიტომ, დანია იქ რიგით მონაწილედ არ მიემგზავრება.

პიტერ შმაიხელი — გამარჯვების სიმბოლო



REUTERS

ეროვნული ბიბლიოთეკა

UEFA EURO 2000

ჯგუფური ტურნირი

10	ივნისი	23:45	ბრიუსელი	B	ბელგია — შვედეთი
11	ივნისი	17:30	არნემი	B	თურქეთი — იტალია
		21:00	ბრიუგე	D	საფრანგეთი — დანია
		23:45	ამსტერდამი	D	ჰოლანდია — ჩეხეთი
12	ივნისი	21:00	ლიეჟი	A	გერმანია — რუმინეთი
		23:45	ეინდჰოვენი	A	პორტუგალია — ინგლისი
13	ივნისი	21:00	როტერდამი	C	ესპანეთი — ნორვეგია
		23:45	შარლერუა	C	იუგოსლავია — სლოვენია
14	ივნისი	23:45	ბრიუსელი	B	იტალია — ბელგია
15	ივნისი	23:45	ეინდჰოვენი	B	შვედეთი — თურქეთი
16	ივნისი	21:00	ბრიუგე	D	ჩეხეთი — საფრანგეთი
		23:45	როტერდამი	D	დანია — ჰოლანდია
17	ივნისი	21:00	არნემი	A	რუმინეთი — პორტუგალია
		23:45	შარლერუა	A	ინგლისი — გერმანია
18	ივნისი	21:00	ამსტერდამი	C	სლოვენია — ესპანეთი
		23:45	ლიეჟი	C	ნორვეგია — იუგოსლავია
19	ივნისი	23:45	ბრიუსელი	B	თურქეთი — ბელგია
		23:45	ეინდჰოვენი	B	იტალია — შვედეთი
20	ივნისი	23:45	შარლერუა	A	ინგლისი — რუმინეთი
		23:45	როტერდამი	A	პორტუგალია — გერმანია
21	ივნისი	21:00	არნემი	C	სლოვენია — ნორვეგია
		21:00	ბრიუგე	C	იუგოსლავია — ესპანეთი
		23:45	ლიეჟი	D	დანია — ჩეხეთი
		23:45	ამსტერდამი	D	საფრანგეთი — ჰოლანდია

A ჯგუფი	1	2	3	4	ქ	ფ	წ	ბ	ქ	ა
1 გერმანია										
2 რუმინეთი										
3 პორტუგალია										
4 ინგლისი										

B ჯგუფი	1	2	3	4	ქ	ფ	წ	ბ	ქ	ა
1 ბელგია										
2 შვედეთი										
3 თურქეთი										
4 იტალია										

C ჯგუფი	1	2	3	4	ქ	ფ	წ	ბ	ქ	ა
1 ესპანეთი										
2 ნორვეგია										
3 იუგოსლავია										
4 სლოვენია										

D ჯგუფი	1	2	3	4	ქ	ფ	წ	ბ	ქ	ა
1 ჰოლანდია										
2 ჩეხეთი										
3 საფრანგეთი										
4 დანია										

მეოთხედფინალი

24 ივნისი 21:00 ამსტერდამი

A1 — B2

25 ივნისი 23:45 ბრიუგე

C1 — D2

24 ივნისი 23:45 ბრიუსელი

A2 — B1

25 ივნისი 21:00 როტერდამი

D1 — C2

ნახევარფინალი

28 ივნისი 23:45 ბრიუსელი

29 ივნისი 21:00 ამსტერდამი

ფინალი

2 ივლისი 23:00 როტერდამი

ეროვნული ბიბლიოთეკა

UEFA CUP

კლასიკოსთა ჯალათასარაი

პაპუნა კედია

ჯიმ ბომ ბომ

„მილანიდან“ დაიწყო. მართალია ჩემპიონთა ლიგის მეორე ჯგუფურ ეტაპზე ვეღარ გავიდა, მაგრამ უეფას თასზე „გავარდნილმა“, შემდეგ, ერთიმეორის მიყოლებით გამოთიშა „ბოლონია“, დორტმუნდის „ბორუსია“, „მალიორკა“, „ლიდს იუნაიტედი“ და ფინალში „არსენალს“ აჯობა.

ფინალის შემდეგ დამარცხებულ ლონდონელთა მწვრთნელი არსენ ვენგერი ჩიოდა, იმიტომ წავაგეთ, რომ ძირითადი და დამატებითი დროის შემდეგ (0:0) პენალტები იმ კარში დგვარტყმეინეს, რომლის უკანაც „გალათასარაის“ ქომაგები ისხდნენ. კაცმა რომ თქვას, უშუალო სიახლოვეს ვინ ხმაურობს, შენი ქომაგი თუ მეტოქისა, უმნიშვნელო არ არის, მაგრამ გადამწყვეტი არ უნდა იყოს, მით უმეტეს დღეს, როდესაც არა თუ ნეიტრალურ, მოწინააღმდეგის მოედანზე გამარჯვებაც კი გახშირდა.

„გალათასარაიზე“ აუგის სათქმელად ადამიანს ენა ვერ მოგიბრუნდება. უეფას თასს ღირსეული მფლობელი გამოუჩნდა, რისი მტკიცებაც თუნდაც ამ წერილის პირველი აბზაცი გახლავთ, თუმცა საკუთრივ ფინალს დავუბრუნდეთ: სტამბოლელებმა კოპენჰაგენის „პარკენზე“ ძალიან ორგანიზებულად ითამაშეს. ორიოდ ვერგამოყენებულ მომენტს თუ არ ჩავთვლით, შეცდომაც თითქმის არ დაუშვიათ, ხოლო ძელებს შორის იმ დღეს დაუმარცხებელი ბრაზილიელი მეკარე კლაუდიო ტაფარელი ედგათ.

REUTERS

17 მაისს უეფას თასს თურქული ანაბეჭდებიც დაჩნდა

მაგრამ უმთავრესი მაინც სტიმული იყო. 17 მაისს, ფეხბურთისა და თურქეთის ისტორიაში დიდი სიახლე შეიძლებოდა მოხდარიყო და ეს „გალათასარაის“ მოთამაშეებმა ჩინებულად იცოდნენ. ასეთ მატჩებს ჟურნალისტები ხშირად საუკუნისას უწოდებენ, ხოლო მათში გამარჯვებული ფეხბურთელები სამუდამოდ რჩებიან მეხსიერებაში. შორს ნუ წავალთ, ჩვენი 13 მაისი გავიხსენოთ.

„პარკენზე“, დამატებითი დროის მესამე წუთზე, სტამბოლელთა რუმინელ ლიდერს, 35 წლის გეორგე ჰაჯის ყმაწვილკაცური

დანეგი და დანიის პოლიცია

რა აჩხუბებს ამ ხალხს? — იდგა თურმე დანიის პოლიციის პირადი შემადგენლობის მეხუთედი და გაოგნებული უცქერდა კოპენჰაგენის ცენტრში როგორ ამტვრევდნენ ინგლისელი და თურქი გულშემატკივრები ერთმანეთს თავ-პირს.

მავანი ინგლისელის მონაყოლის თანახმად, როდესაც მის თანამემამულეს ვიღაც თურქმა ზურგში დანა ჩასცა, ხოლო სასწრაფო დახმარების მანქანა აყალმაყალის გამო იმ ადგილზე მთელი 13 წუთის განმავლობაში ვერ მივიდა, ყველაზე დაბნეული კაცი პოლიციელი გახლდათ. ისევ მოჩხუბრებს შემოუხევიათ მაისურები და წაქცეულისთვის ჭრილობა შეუხვევიათ.

შესაძლოა მრავლად აღწერილი ასეთი ეპიზოდები გაზვიადებულიც იყოს, მაგრამ ის, რომ დანიელ ნესრიგის მცველებს წილად მათთვის გადაუჭრელი ამოცანა ხვდათ, ფაქტია.

თუმცა დანიის პოლიციას თავი დავანებოთ და ხულიგნებზე ვთქვათ. ამბობენ, რომ უეფას თასის ფინალის წინა ღამით, კვლავ და კვლავ კოპენჰაგენის ცენტრში, სადაც ლუდს ცალკე ინგლისელები მისხდომოდნენ და ცალკე თურქები, ვიღაც ინგლისელმა ვიღაც თურქს კათხა ესროლა და აგორდა კიდეც. მანამდე თურქები იგინებოდნენო, თავს იმართლებენ ინგლისელები.

ასე იყო თუ ისე, იმ ღამით რაღაც მანქანებით შეწყვეტილი ჩხუბი მეორე დღეს განახლდა, შემდეგ თამაშის დროს ისევ შეწყდა, ხოლო ბოლოს, გამოფრენისას, აეროპორტში, ერთხელაც შეაშინა ადგილობრივი მოსახლეობა და კოპენჰაგენის მშვიდობიანი სტუმრები.

ჩხუბის დროს მხარეებმა დანით დაწყებული, ველოსიპედით დამთავრებული, ყველა საგანი დაარტყ-გაარტყეს ერთმანეთს.

შეგახსენებთ, რომ ამ ინციდენტს წინაისტორიაც ჰქონდა: აპრილში, ჯერ კიდევ ნახევარფინალში, როდესაც „გალათასარაი“ ინგლისურსავე „ლიდს იუნაიტედს“ ხვდებოდა, სტამბოლში ხულიგნებმა ორი ლიდსელი ფანი მოკლეს.

მკვლელები

ეს ფოტო სტამბოლის სასამართლოშია გადაღებული. პოლიციელებს ეჭვმიტანილნი, ალი უმით დემირი, ოზქან ბალჩი, სულეიმან აიდინი და სულეიმან გოხან გუვენი განსასჯელთა სკამზე ჩამოუსხამთ. მეორე რიგში გაუმწკრივებიათ ქაზიმ დალგა, ილმაზ თუთუები, ზაფერ ილდირიმი (ეს კაცი არ ჩანს) და მურათ იაჰში.

ეს ხალხი 5 აპრილს, ქალაქის ცენტრალურ რაიონში, თაქსიმში, სასტუმრო „მარმარასთან“, ინგლისელ ფანებთან ატეხილ სისხლიან ჩხუბში მონაწილეობდნენ. მათგან ორს, ალი უმით დემირსა და ოზქან ბალჩს კრისტოფერ ლოფტუსის და კევინ სპეიტის მკვლელობა ბრალდება.

ჩხუბის მეორე დღეს, ეჭვმიტანილთა საყვარელი გუნდი „გალათასარაი“ უეფას თასის ნახევარფინალში „ლიდს იუნაიტედს“ შეხვდა და 2:0 მოუგო. ორი კვირის შემდეგ საპასუხო მატჩი 2:2 დასრულდა.

შეცდომა მოუვიდა, ინგლისელ მცველს ტონი ადამსს ბურთისთვის ძიძგილაობის დროს უკნიდან თავში უთაქა და ესპანელ არბიტრს, ანტონიო ლოპეს ნიეტოს თავი გააძევებინა.

მაგრამ „ჯიმ ბომ ბომ“ („გალათასარაის“ მეტსახელია) არ შეცბა.

შემდეგ გუნდის კაპიტანი უმითი დაშავდა, ექიმმა ბინტით შეუხვია მარცხენა ხელი და ტანზე მიაკრა, მაგრამ კაპიტანს წარბიც არ შეუხრია.

ხოლო ბოლოს ესპანელმა მსაჯმა პენალტები იმ კარში დანიშნა, რომლის უკანაც თურქი ქომაგები ისხდნენ.

ვენგერმა თქვა ამიტომ წავაგეთო.

სტამბოლის სპანე

მაშ ასე — როგორც იტყოდა კომენტატორი — უეფას თასმა ახალ ქვეყანაში, ახალ ქალაქში დაივანა. ამ ქალაქს ოდესლაც კონსტანტინოპოლი ერქვა, დღეს სტამბოლი ჰქვია, ბოსფორის სრუტის ორივე მხარესაა გაშენებული და სიგრძეში, ასრაღაცა კილომეტრია.

ვიღაც ამბობდა, ახალ ქვეყანას კლასიკურ გარემოში რა ესაქმებოდაო. მოდით, ნუ დავეთანხმებით, რადგან ერთი, რომ ადრე თუ გვიან, ამა თუ იმ შეჯიბრებაში ეს ახალი ქვეყანა შეიძლება ჩვენც ვიყოთ (ჰა, ჰა, ჰა — თქვა ვიღაცამ), ხოლო მეორეც ის, რომ კლასიკოსთა შეჯანჯღარება ხანდახან სულაც არ უნდა იყოს ცუდი. ვთქვათ, „გალათასარაის“ პატრიოტულმა აღტყინებამ — ჩვენს უკან 67 მილიონი თურქია — მილიონების თვლაში გართული ინტერნაციონალისტი და თავიანთი კლუბების ჯიბით მოყვარული ბურჟუა-ფეხბურთელები ოდნავ რომ ჩაფიქროს (ჰა, ჰა, ჰა, ჰა — თქვა ვიღაცამ) მთლად ურიგო არ იქნება.

და კიდევ გავიმეოროთ ის, რაც ზემოთ ვთქვით: სტამბოლელებმა ღირსეულად გაიმარჯვეს. მიდი ახლა და იძახე ეს ამბავი არ მომეწონაო.

უეფას თასუნა

იყო და არა იყო რა, იყო ჩემპიონთა თასი, უეფას თასი და თასების თასი — სამი პრესტიჟული შეჯიბრება. ეს სამი შეჯიბრება ევროპისთვის ძალიან ბევრს ნიშნავდა, მაგრამ გამოხდა ხანი და ბოროტმა ჯადოქარმა, რომელსაც ფული ჰქვია, პირობითად შვეიცარიელ, ჰალსტუხიან ძიებს გონი აურია და ისინიც ტრადიციებს დიდი ცელით დაადგნენ თავს. პირველად თასების თასს მოაჭრეს თავი, მერე კი უეფას თასსაც მოუქნიეს.

დღეს ასეა: ჩემპიონთა ლიგაში წამყვანი ევროპული ქვეყნების ოთხ-ოთხი და სამ-სამი საუკეთესო გუნდი გადის, ამას ემატება სხვათა ჩემპიონები და უეფას თასისთვის ქვეითები რჩებიან. პლუს, კიდევ, ის, რომ ლიგის პირველი ჯგუფური ეტაპიდან გავარდნილებს უეფაზე „აქვეითებენ“ და ამით შესაბამის ფსიქოლოგიურ კლიმატს ქმნიან.

მაგრამ ჩვენ, ამ შემთხვევაში, ისევ ამ წერილის პირველ აბზაცს დავუბრუნდეთ.

ფათიჰ ხოჯა

ფათიჰ ხოჯა ანუ ფათიჰ მასწავლებელი (რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, თურქები მწვრთნელებს ასე მიმართავენ) გვარად თერიმია და 17 მაისს ისტორიულ კაცად იქცა.

ის ქცევასა და სიტყვა-პასუხში ღირსეულია, ხოლო საქმეში განსწავლული: 1996 წელს (ევროპის ჩემპიონატის შემდეგ) თერიმი ნაკრების მწვრთნელობიდან გადადგა და სათავეში „გალათასარაის“ ჩაუდგა. მას მერე „ჯიმ ბომ ბომ“ ქვეყნის მუდმივი ჩემპიონია — ზედიზედ ოთხჯერ მოიგო ტიტული, ხოლო წლეულს ერთბაშად სამ ჯილდოს დაეპატრონა: როგორც მოგახსენეთ, თურქეთის ჩემპიონი გახდა, ეროვნული თასი მოიგო და ბოლოს უეფას თასიც აღმართა.

ფინალის შემდეგ ფათიჰ ბეის გახარება ხეირიანად არც აცალეს, პრესკონფერენციაზე რომელიმე დიდ ევროპულ კლუბში გადასვლაზე ჩამოუგდეს სიტყვა.

სხვადასხვა



ნჰლ-ის პლეი ოფის ნახევარფინალებში გამორჩეული ამბავი მოხდა. სტენლის თასის გათამაშების ისტორიაში მეორედაა, რომ ამ რაუნდის გამარჯვებულთა გამოვლენას შვიდმატჩიანი სერია დასჭირდა. ფილადელფია ნიუჯერსისა და დალასი კოლორადოს დაპირისპირებაში მართლაც სანაქებო ჰოკეი გაჩაღდა და, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, ოთხივე იმსახურებდა ფინალში თამაშს. საბოლოოდ ეს პატივი დალასმა და ნიუჯერსიმ ირგუნეს. გადამწყვეტ შეხვედრებში მათ მეტოქეები, შესაბამისად, 3:2 და 2:1 დაამარცხეს და 30 მაისიდან სტენლის თასისთვის ერთმანეთს ეჯიბრებიან.

შაკმანია

მაისში აშშ-ის ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში ორი მნიშვნელოვანი რამ მოხდა. ჯერ იყო და, „ლოს ანჯელეს ლეიკერსის“ ცენტრმა შაკილ ონილმა ჯერ არნახული უპირატესობით მოიგო სეზონის უძვირფასესი მოთამაშის ტიტული. მერე კი, პლეი ოფის მეორე წრეში, „ნიუ იორკ ნიქსმა“ და „მაიამი ჰითმა“ დაძაბულზე დაძაბული, შვიდმატჩიანი სერია გამართეს. ბოლო შეხვედრის ბოლო ნამზე „ნიუ იორკმა“ იმარჯვა და ჩემპიონატის ფინალში გასვლისთვის ახლა „ინდიანა პეისერზის“ დამარცხება მოუწევს. იგივეს ლამობს ონილის „ლეიკერსიც“, რომელსაც „პორტლენდ თრეილ ბლეიზერსი“ ეცილება ფინალისტობას.

LAKERS
34

საფრანგეთის ნაკრები 2000. ზედა რიგში მარცხნიდან დგანან: რენე ჟირარი (მწვრთნელის თანაშემწე), ლორან ბლანი, ზინედინ ზიდანი, რობერ პირესი, როჟე ლემერი (მწვრთნელი), ტიერი ანრი, დავიდ ტრეზეგე, იოან მიკუ, გი სტეფანი (მწვრთნელის თანაშემწე);
შუა რიგში: ბრუნო მარტინი (მეკარეთა მწვრთნელი), ვინსენ კანდელა, კრისტოფ დიუგარი, სილვაინ ვილტორდი, ემანუელ პეტი, ლილიან ტურამი, პატრიკ ვიეირა, იური ჯორკაეფი, ანრი ემილი (მწვრთნელის თანაშემწე);
ქვედა რიგში: კრისტიან კარემბუ, ფრანკ ლებეფი, ულრიხ რამე, მარსელ დესაი, ბერნარ ლამა, ნიკოლა ანელკა, ფაბიენ ბარტეზი, ბიქსენტე ლიზარაზუ, დიდიე დეშამპი